<u>პროექტი</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე[1]) პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ სასამართლო განჩინების მიღების შემდეგ სხვა განმცხადებლის მიერ იმავე პირის მიმართ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადების წარდგენისას ან პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის შესახებ განცხადების წარდგენისას;“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

პროექტის მიღების მიზეზი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების დანართი 20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განაწილებას არა შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, არამედ განჩინების/გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეზე, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებით. სწორედ, ამ ინტერესების დაცვას ემსახურება წარმოდგენილი ცვლილებაც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[14] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტი. კერძოდ, ხსენებული განცხადება სასამართლოში შეიძლება შეიტანოს ამ პირმა, მისი ოჯახის წევრმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებამ. მითითებულ სუბიექტებს სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვა შეუძლიათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მსგავსი განცხადებები ნაწილდება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, სხვადასხვა მოსამართლეზე. სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, სხვადასხვა პირის განცხადება ერთი და იმავე პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განიხილოს ერთმა მოსამართლემ.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას და გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.